


# საერთაშორისო რეიტინგებით სასამართლოს მდგომარეობა უჩინდება

ბოლო პერიოდში, როგორც სასამართლო, ასევე პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებით აპელირებენ და სასამართლოში მიმდინარე პროგრესზე საუბრობენ. როგორც წესი, ისინი ინფორმაციას არასრულყოფილად და დამახინჯებული ფორმით წარმოადგენენ, განსაკუთრებით ხშირია The Heritage Foundation-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით მანიპულაცია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წარმოგიდგინებთ საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების რეიტინგების, ყოველწლიური ანგარიშების მიმოხილვას და საერთაშორისო პარტნიორების შეფასებებს.

## THE HERITAGE FOUNDATION

The Heritage Foundation-მა 2019 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გამოქვეყნა, სადაც წინა წელთან შედარებით საქართველოში სასამართლოს ეფექტიანობის მდგომარეობა **9.6%-ით შემცირდა**<sup>1</sup>. ამ მაჩვენებლით 2019 წელს საქართველომ **მეტწილად არათავისუფალი** ქვეყნების რიგში გადაინაცვლა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორგანიზაცია სასამართლოს ეფექტიანობის ხარისხს 2017 წლიდან ზომავს.



1 The Heritage Foundation, ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის ინდექსი, ხელმისაწვდომია: <https://heritag.org/2lggljw>

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების **ჯამური ქულა 0.3** პუნქტით შემცირდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო „მართლმსაჯულების ეფექტიანობის მკვეთრი ვარდნით“. კვლევაში ასევე მითითებულია:

“ მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონმდებლობა უზრუნველყოფენ დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას, პოლიტიკური ზენოლა საფრთხეს უქმნის მიუკერძოებლობას.

## FREEDOM HOUSE

Freedom House-ს მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მდგომარეობა 2017 წელთან შედარებით **0.25 პუნქტით არის გაუარესებული**.



**შენიშვნა:** შეფასება 1-დან 7 ქულამდე სისტემით ხდება, სადაც 1 „ყველაზე დამოუკიდებელს“, ხოლო 7 - „ყველაზე ნაკლებად დამოუკიდებელს“ ნიშნავს

ანგარიშის მიხედვით<sup>2</sup>, 2018 წელს სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაწილში ქულების კლება, მათ შორის, „ფილიპ მორისისა“ და „ბრიტიშ ამერიქან თობაქოს“ საქმეებით იყო განპირობებული. შეგახსენებთ, რომ დასახელებულ საქმეებზე სასამართლომ, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, აღნიშნული კომპანიები შესაბამისად - 93 და 270 მილიონამდე ლარით დააჯარიმა. „ფილიპ მორისის“ საქმით, იმ პერიოდში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოც“ დაინტერესდა და სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ვრცელი ანალიზი<sup>3</sup> გამოაქვეყნა. ორგანიზაციის შეფასებით, **დავის დანქარებული წესითა და შესაძლო პროცედურული დარღვევებით განხილვამ, ლეგიტიმური კითხვები წარმოშვა საქმეში კორუფციის რისკებთან დაკავშირებით.**


<sup>2</sup> Freedom House, 2018 წელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2GOKgy1>

<sup>3</sup> „სასამართლოს გადაწყვეტილება კომპანია „ფილიპ მორისისთვის“ 93 მილიონამდე ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით კითხვებს ბადებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, 2017 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LgW0uG>

# მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

## გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

შეშფოთების საგანი გახდა „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ 2017 წელს<sup>4</sup> გამოქვეყნებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შედეგები, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს დამოუკიდებლობა საქართველოში, 2016 წელთან შედარებით, 24 პოზიციით გაუარესდა. 2016 წელს<sup>5</sup> საქართველო „სასამართლოს დამოუკიდებლობის“ მიმართულებით 63-ე ადგილს იკავებდა, ხოლო 2017 წლის მონაცემებით, ქვეყანამ 87-ე ადგილზე გადაინაცვლა. მართალია 2018 წელს<sup>6</sup> საქართველომ პოზიცია 4 ადგილით გაიუმჯობესა და 83-ე ადგილზე გადავიდა, თუმცა ადგილის ცვლილება ქულის მატებას არ გამოუწვევია. 2018 წელს, ისევე როგორც 2017 წელს საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის მდგომარეობა 3.6 ქულით არის შეფასებული.



## მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი

„მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის“ მიერ წარმოდებული კანონის უზენაესობის ანგარიშების მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა ბოლო წელს გაუარესებულია. 2016 წელს<sup>7</sup> საქართველო 113 ქვეყნიდან 34-ე ადგილს იკავებდა, ხოლო 2017-2018 წლის<sup>8</sup> ანგარიშის მიხედვით მისი მდგომარეობა 4 პოზიციით გაუარესდა და 38-ე ადგილზე გადავიდა. გაუარესებული მაჩვენებელია ასევე სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა მართლმსაჯულების კუთხითაც: 2016 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 38-ე ადგილს იკავებდა, ხოლო 2017-2018 წლების მონაცემებით, 47-ე ადგილზე გადაინაცვლა. 16 პოზიციით გაუარესდა ასევე სამოქალაქო სამართლის მართლმსაჯულების მაჩვენებელი და 39-ე ადგილიდან 55-ე ადგილზე ჩამოვიდა.

4 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2017-2018 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2lDxV5S>

5 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2015-2016 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TO00nx>

6 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yyB22W>

7 კანონის უზენაესობის მაჩვენებლის ინდექსი, მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, 2016 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2q4jLaG>

8 კანონის უზენაესობის მაჩვენებლის ინდექსი, მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, 2017-2018 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yb8izE>

## 2016 წლის ანგარიში

Overall Score	Regional Rank	Income Rank	Global Rank
0.65	1/13	4/37	34/113

	Factor Trend	Factor Score	Regional Rank	Income Rank	Global Rank
Constraints on Government Powers	—	0.62	1/13	7/37	43/113
Absence of Corruption	—	0.73	1/13	1/37	22/113
Open Government	—	0.63	1/13	4/37	31/113
Fundamental Rights	—	0.68	1/13	8/37	39/113
Order & Security	—	0.78	4/13	6/37	37/113
Regulatory Enforcement	—	0.62	1/13	2/37	28/113
Civil Justice	—	0.61	2/13	8/37	39/113
Criminal Justice	—	0.56	1/13	6/37	38/113

High Low ▼ Trending down ▲ Trending up

## 2017-2018 წლის ანგარიში

Overall Score	Regional Rank	Income Rank	Global Rank
0.61	1/13	1/30	38/113

Score Change Rank Change

-0.04 ▼ -4 ▼

	Factor Trend	Factor Score	Regional Rank	Income Rank	Global Rank
Constraints on Government Powers	▼	0.57	1/13	5/30	52/113
Absence of Corruption	—	0.71	1/13	1/30	23/113
Open Government	▼	0.57	2/13	3/30	42/113
Fundamental Rights	▼	0.61	2/13	2/30	46/113
Order and Security	—	0.79	4/13	3/30	30/113
Regulatory Enforcement	—	0.58	1/13	2/30	32/113
Civil Justice	▼	0.54	4/13	4/30	55/113
Criminal Justice	—	0.51	2/13	3/30	47/113

▲ Trending up ▼ Trending down Low Medium High

შენიშვნა: ანგარიშის მეთოდოლოგიის მიხედვით, ქვეყნები 0 დან 1 ქულამდე ფასდებიან, სადაც 0 ქულა კანონის უზენაესობის პრინციპის „ყველაზე ნაკლებად“ ხოლო 1 „ყველაზე მეტად“ დაცვას ნიშნავს.

ხშირია აპელირება იმაზე, რომ საქართველო პირველ ადგილს იკავებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. თუმცა ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის, რომ რეგიონში შედიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც ტრადიციულად დემოკრატიის მწვავე პრობლემებით ხასიათდებიან და ზოგიერთ მათგანს, ათწლეულებზე მეტია, ტოტალიტარული რეჟიმები მართავენ. მაგალითად, საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, ყაზახეთი, ბელორუსია, ალბანეთი, სერბეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყირგიზეთი, რუსეთი, უზბეკეთი და თურქეთი.

## საერთაშორისო გამჭვირვალობა

### კორუფციის აღქმის ინდექსი

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნომ 2018 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI) გამოაქვეყნა<sup>9</sup>, რომლის მიხედვითაც, მართალია, საქართველოს შედეგი ორი ქულით გაუმჯობესდა, **თუმცა პრობლემად არის შეფასებული მართლმსაჯულების მდგომარეობა. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2012 წლიდან დღემდე CPI-ში საქართველოს ქულა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული არ არის.** 2018 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ემუქრება „უკუსვლა დემოკრატიის სფეროში, რაც მაღალი დონის კორუფციის


<sup>9</sup> კორუფციის აღქმის ინდექსი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, 2018 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S8ouu8>

საფრთხეს ზრდის და გულისხმობს, რომ ქვეყანა მომავალში დაკვირვებას საჭიროებს.“ იმავე ანგარიშის თანახმად, ასეთი მდგომარეობის მიზეზებია:

“ ანგარიშვალდებულების ნაკლებობა სამართალდამცავ უწყებებში, **კორუფცია და პოლიტიკური ჩარევა სასამართლოს საქმიანობაში**, სახელმწიფოს მიტაცება და მთავრობის მიერ ორგანიზებული თავდასხმები დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებაზე.

## NDI-ს 2018 წლის კვლევის შედეგები


NDI-ს მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში<sup>10</sup>, რომელიც საზოგადოების განწყობებს ასახავს, ერთ-ერთი კითხვა სასამართლოს საქმიანობის შეფასებას შეეხებოდა. კვლევის მიხედვით, 2015 წლიდან, იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც სასამართლოს საქმიანობას „ცუდად“ აფასებს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.



10 საზოგადოების განწყობა საქართველოში, NDI, 2018 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2GkMaoN>

# საერთაშორისო ჩესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) 2018 წლის მონაცემების მიხედვით<sup>11</sup>, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი - 55%, საქართველოში სასამართლოს საქმიანობას უარყოფითად აფასებს, ხოლო 25% - დადებითად.



## აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, წლებია საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობას აკვირდება და ყოველწლიურ ანგარიშებს აქვეყნებს. ანგარიშების ანალიზი აჩვენებს, რომ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის პრობლემა წლებია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ერთ - ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

2017 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში პირდაპირ არის საუბარი მოსამართლეებზე არსებულ შიდა და გარე ზეწოლებზე.

11 საზოგადოებრივი აზრის კვლევა, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI), 2018 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xs9nCA>

“

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონი უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების არსებობას, კვლავ არის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა თუ მიუკერძოებლობაში ჩარევის ნიშნები. მოსამართლეები მონყვლადი იყვნენ პოლიტიკური გენოლის წინაშე, როგორც მართლმსაჯულების სისტემის შიგნით, ისე მის გარეთ.

## ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისარმა 2016 წლის 16 იანვარს დასკვნა [გამოაქვეყნა](#)<sup>12</sup>, სადაც ნათქვამია:

“

ბოლო დროს, უარყოფითად შეფასდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც სააპელაციო სასამართლოს 10 ვაკანტური ადგილი პირველი ინსტანციის მოსამართლეთა დანიშნულებით და არა კონკურსის წესით შეივსო, ვინაიდან, მოსამართლეთა გადანიშვნა სხვა სასამართლოში და მათი დანიშნულება არ არის დარეგულირებული კონკრეტული პროცედურებითა და კრიტერიუმებით. ასეთი პრაქტიკა ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ მოსამართლეთა შერჩევის, გამწესებისა და დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილებები თვითნებურია, რაც ასუსტებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი.

## იანოზ ჰეჩიანის შეფასება

2017 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის დელეგაციის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, იანოზ ჰეჩიანმა, ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, სასამართლოში შეინიშნება კორუფცია და არასურველი ჩარევები:

“

ევროდელეგაციის მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეინიშნება: დარღვევები მოსამართლეების არჩევის, დანიშვნისა და დანიშნულების პროცესში; წინასწარი გარიგებები საქმეებთან დაკავშირებით; პროცედურული ხარვეზები; ფავორიტიზმი; კორუფცია და არასასურველი ჩარევები.

## იან კეისის შეფასება

2018 წლის 16 მარტს, აშშ-ს ყოფილმა ელჩმა განაცხადა<sup>13</sup>:

“

არსებობს აზრი, რომ საქართველოს სასამართლოები სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის არსებულ დავებში გადაწყვეტილების მიღების დროს ბოლომდე მიუკერძოებლები არ არიან. [...] მე ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი პრობლემა არის მოსამართლეთა კვალიფიკაცია, რომ მოსამართლეები ბოლომდე ვერ იგებდნენ საქმის სრულ დეტალებს. მე ვფიქრობ რომ პრობლემაა ის, რომ მოსამართლეები უმეტესად სახელმწიფოს არგუმენტებს უცხოური ბიზნესის არგუმენტებზე სარწმუნოდ თვლიან.

<sup>12</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, 2016 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yFPxV1>

<sup>13</sup> „იან კელი ამერიკული კომპანიების Philip Morris-ისა და GAA-ს დაჯარიმებაზე საუბრობს“, ტაბულა, 2018 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RYQ2OI>